საქართველოს რესპუბლიკა

წლიწადი მეორე

ფასი 50 კაპ.

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 7 შაბათი, 11 იანვარი, 1919 წ. № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—120 მ., ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით—10 მ.

ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე. ბარონის ქ., № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ს. ა. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს 11 იანვარს

საბანეევას, მოროზოვას, ზალიპსკის, ნიკოლსკის, ინაშვილის მონაწილეობით

„ფაუსტი“.

კვირას, დილას—„ევგენი ონეგინი“; საღამოს—ალეშკოს, იანსას, ზალიპსკის, პოლიაევის მონაწილეობით „ზაზა“. სამშაბათს ბენეფისია ს. ი. ევლახიშვილისა. 32 1—1

თეატრი „ტარტო“.

ორშაბათს, 13 იანვარს შესდგება

დიდი საღამო

ღამის პირველ საათამდე ბათუმის ქართულ პარტიზანულ პოლკის ოფიცერთა და პარტიზანთა დაღუპულების ოჯახთა სასარგებლოთ.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები ქართველ მსახიობებისა, ოპერისა და დრამისა, „ტარტოსი“ და სხვა თეატრებისა. პროგრამაში შედის ახალი პიესები, კონცერტი, ცეკვა, ინტერმედია და ლოტო. დასაწყისი საღამოს 7 საათზე. გაგრძელდება ბ. გენერალ-გუბერნატორის ნებართვით 1 საათამდე. ბუფეტში და ფოიეში საუზმე. ღვინო, კონიაკი, შამპანიური, ხილეულობა და ტკბილეულობა. საღამოს „კონფერანსიე“ ნ. ა. დიმოვი. 25 1—1

მეუღლე ნინო ვაჟებით, ქალი ელენე და სიძე ილიობ ელიოზიშვილები, ძმის წული თამარა, ცოლის ძმა გაბო, მეუღლე მისი ძაბუ თვალთვაძის ქალი, ცოლის დები ლიზა და სონა ჩიმინაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

უცრამან ვასილის ძე

გეგეჭკორისას.

დაკრძალვა კვირას წმინდა ნინოს სასაფლაოზე, იქვე წირვა. ცხედრის გასვენება სახლიდან 10 სათზე. რეუტოვის ქუჩა № 35.

37 1—1

კახელ მევენახეთა საზოგადოება

„კახეთი“-ს

აცხადებს, რომ საზოგადო კრება წევრებისა დანიშნულია ქალ. თელავში 1919 წ. 26 იანვარს.

კრების საგანია: 1) განხილვა-დამტკიცება 1917—1918 წ. ანგარიშისა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებისა, 2) 1918—1919 წ. წ. აღრიცხვა, 3) წევრთა სიის გადასინჯვა, 4) მიმდინარე საკითხები და 5) არჩევნები: თანახმად ახალი წესდებისა საბჭოს ხუთის და სარევიზიო კომისიის სამის წევრების და ნაცვლად გამგეობის თავმჯდომარე ესტატე პაატაშვილის ჲ გამგეობის წევრის გიორგი მაჭავარიანისა. ეს კრებაა ნაცვლად იმ კრებისა, რომელიც 6 ქრისტეშობისთვეს იყო დანიშნული ჲ კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. 29 1—1

სავაჭრო სახლის

„შუამავლის“

გამგეობა

(წესდება დამტკიცებულია 1918 წ. ნოემბრის 18-ს),

ამით აუწყებს სახელმწიფო, საბანკო, სავაჭრო-სამრეწველო და საზოგადო დაწესებულებათ და კერძო პირთ, რომ სავაჭრო სახლმა „შუამავალმა“ მოქმედება დაიწყო მიმდინარე თვის 8-დან. 25 1—1

ქალაქის

შრომის ბირჟა

ამით აცნობებს ყველა საზოგადო და კერძო დაწესებულებებს, ქალ. ტფილ. ბანკებს, კანტორებს და სხვ.,

რომ ბირჟაში ჩაწერილია აუარებელი რიცხვი უმუშევართა სხვა და სხვა გვარ პროფესიებისა, რომელნიც იმყოფებიან უმწეო მდგომარეობაში სამუშაოს უქონლობის გამო.

შრომის ბირჟა იმედოვნებს, რომ ყველა მოთხოვნილებები როგორც მუშებზე, ისე ყოველ-გვარ მოსამსახურეებზე **შარშანდელივით** გამოგზავნილ იქნება შრომის ბირჟაში, რაც მოგვცემს საშუალებას ცოტათი მაინც შევამციროთ უმუშევართა რიცხვი.

შრომის ბირჟა აგზავნის რა უმუშევართ სამუშაოზე ცდილობს სავსებით დააკმაყოფილოს დამქირავებლების მოთხოვნილებანი და უგზავნის მათ სასარგებლო და საჭირო მუშებს. გასულ წელს ბირჟამ ადგილი უშოვნა 4.000 უმუშევარს, რომლებმაც სავსებით შეასრულეს დამქირავებლების მოთხოვნილება, რის გამო ბირჟამაც დაიმსახურა ერთგვარი სიმპატია, როგორც კერძო დამქირავებლების, აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულებების მხრივ.

შრომის ბირჟაში მოთავსებულია „ცნობის მიმწოდებელი ბიურო“, რომელიც იძლევა ყოველ-გვარ ცნობებს „ხელფასის შესახებ“, უმუშევართა რიცხვს და ცნობებს სხვა და სხვა კატეგორიების შესახებ.

შრომის ბირჟა **უფასოდ** აწარმოებს საქმეებს, როგორც **უმუშევართათვის**, ისე **დამქირავებელთათვის**.

ბირჟას შეგიძლიათ მიმართოთ როგორც წერილობითი, ისე ტელეფონით. ბირჟა ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან შუადღის 3 საათამდის, გარდა კვირისა და უქმე დღეებისა.

მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 11, სახლი ზუბალოვისა, ყოფილ ლონდონის სასტუმროში. ტელეფონი № 8—12. 27 5—1

კვირას, 12 იანვარს, დილის 11 საათზე

პარლამენტში და სამინისტროებში მოსამსახურეთა

ეკონომიურ საზოგადოების შენობაში (ევანგულოვის ქ., № 2) შესდგება ხსენებულ საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება. დღის წესრიგი: 1. გამგეობის მოხსენება. 2. 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. 3. წესდების შეცვლა. 4. მიმდინარე საკითხები. საჭიროა თან იქონიოთ საწევრო წიგნაკები რეგისტრაციისთვის.

35 2—1 **გამგეობა.**

დამოუკიდებელთა (უპარტიოთა) კავშირის საბჭო

ამით აცხადებს, რომ კვირას, 12 იანვარს 1919 წ., დილის 11 სათზე, ქართულ კლუბის შენობაში დანიშნულია კავშირის წევრთა საერთო კრება. განსახილველია საკითხი **დამფუძნებელ კრებისათვის** არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ. კრებაზე ყველა წევრთა და თანამგრძნობთა დასწრება აუცილებელია. 20 1—1

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი

მედიცინის დოქტორის

გ. მერაბოვისა.

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა), მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჰლექის ავ დიყოფობა (ტუბერკულიზი), კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.

70—9 **საწყლებს უფასოდ.** 624.

ექიმი ი. პ. აბაშელი

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-ჰლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½— 6 საათამდე. პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

იუსტიციის სამინისტროს უწყებისადმი.

3 იანვარი, 1919 წ.

№ 62.

განთავისუფლებულია: თანახმად თავისის თხოვნისა, თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სოხუმის ოლქის სასამართლოს წევრი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ემუხვარი.

ინიშნება: ბაქოს მაზრის მომრიგებელი მოსამართლე დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე სოხუმის ოლქის სასამართლოს წევრად.

მთავრობის თავმჯდომარე

ნ. ჟორდანია.

იუსტიციის მინისტრი

შ. ალექსი-მესხიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი.

9 იანვარი, 1919 წ.

№ 2.

ინიშნებიან: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საერობო განყოფილების უფროსი ვასილი ალექსის ძე სოკოლოვი სამინისტროს საერობო ნაწილის ინსტრუქტორად მიმდინარე 6 იანვრიდან, ჯამაგირით, საერობო თანხიდან, ათას-ათასი მანეთი თვეში, ქუთაისის საგლეხო საკრებულოს წევრად ყოფილი დავით გრიგოლის ძე ელიავა საერობო განყოფილების უფროსად 7 იანვრიდან.

დაინიშვების: შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი ალექსანდრე სამსონის ძე ჩიქოვანი იმავე კანცელარიის ზოგადი განყოფილების უფროსის

მოვალეობის აღმასრულებლად, მიმდინარე წლის 7 იანვრიდან, უკანასკნელ თანამდებობის ჯამაგირით.

რჩებიან შტატ გარეშე საერთო წესით მიმდ. წლის 6 იანვრიდან: ზოგადი განყოფილების უფროსის მოვალეობის აღმასრულებელი საქმის მწარმოებელი რიჩარდ ივანეს ძე ლონგო, კანცელარიის საქმის მწარმოებელი დიმიტრი დიმიტრის ძე სტრელკოვი, საქმის მწარმოებლის თანაშემწე თამარ იაკობის ასული ისპანდიაროვა, არქივარიუსი იმავე კანცელარიისა იაკობ სვიმონის ძე სვანოვი, ანცელარიის მოხელენი: ლიდია ანდრიას ასული პოლივოდა და დარია ივანეს ასული გასნევსკაია და მანქანაზე ნებით დაქირავებული გადამწერი არშალუის ნერსესის ასული მარგულოვისა.

ხელს აწერს: მინისტრი
ნ. რამიშვილი.

შინაგან სამინისტროსთან არსებულ საექიმო-სასანიტრო განყოფილებისა.

23 დეკემბერი, 1918 წ.

№ 115.

დათხოვნილია ამა რიცხვიდგან მიხეილის საავადმყოფოს სამეურნე ნაწილის გამგე თანამდებობიდგან და სამსახურიდგან ვ. ა. დაშკოვი, რაც გამოწვეულია მიხეილის საავადმყოფოს რევიზიის შემდეგ.

№ 116.

დათხოვნილია ამ რიცხვიდგან სამსახურიდან მიხეილის საავადმყოფოს ბუხგალტერი ნ. გ. მიკირტუმოვი მიხეილის საავადმყოფოს რევიზიის გამო.

№ 117.

ინიშნება ექიმი კ. ტ ლორთქიფანიძე მიხეილის საავადმყოფოს უფროს ორდინატორად.

24 ქრისტიშობისთვე, 1918 წ.

№ 118.

ინიშნება ამ რიცხვიდგან მიხეილის საავადმყოფოს სამეურნეო ნაწილის გამგეთ იულიან როსალის ძე ქაჯაია.

№ 119.

ინიშნება ამ რიცხვიდგან მიხეილის საავადმყოფოს ბუხჰალტრათ ნესტორ ფომის ძე კალაძე.

№ 120.

გამგზავრებული კომანდიროვკაში სასანიტარო სადეზინფექციო რაზმების რევიზიისთვის ფოთში 2 ქრისტიშობისთვეს ა. წ. რევიზორი საექიმო-სასანიტარო განყოფილებისა ა. ყანჩელი დაბრუნდა ფოთიდგან 23 ქრისტიშობისთვეს ა. წ.

საექიმო სასანიტრო განყოფილების უფროსი **ხანდუკელი.**

25 ქრისტიშობისთვე, 1918 წ.

№ 121.

დათხოვნილია თანახმად თხოვნისა მიხაილოვ-სურამის სანიტარული ექიმი რატნერი 25 ქრისტიშობისთვეს ა. წ.

№ 122.

გადაყვანილია ექიმი გველესიანი სოფ. ერედვიდგან, გორის მაზრა, აწყურის ქსენონის გამგეთ იმავე ჯამაგირით.

№ 123.

ინიშნება ექიმის თანაშემწე პეტრე გრიგორის ძე კადიკოვი 6-სე საექიმო-ზედამხედველ რაზმში. ჯამაგირი 350 მ. თვეში.

საექიმო-სასანიტარო განყოფილების უფროსის მაგიერ ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილის სიტყვა.

(იანვრის 5-ს 1919 წ. სხდომა).

მოქალაქენო, ხალხის წარმომადგენელნო! თქვენ დღეს და გუშინ ოპოზიციის ორატორებისაგან გესმოდათ დაწუნება ჩვენი საგარეო პოლიტიკისა. ჩვენ უნდა ვსთქვათ რომ აქ საკვირველი სრულიად არაფერია. დიახ, ბატონო გაბაშვილო, მე მაინც ვიტყვი: აქ ჩვენ ვხედავთ, არა ახალ იერიშებს, თუ თქვენ მოიგონებთ ერთ ფაქტს, არამედ უკან დახევას. მე ვამბობ, იმ კამათზე, რომელიც გაიმართა აქ, როცა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის მთავრობა, წარმოდგა პარლამენტის წინაშე დეკლარაციით. აი მაშინ... (მაჩაბელი: ეხლა მიწაზე დაიწყებს ლაპარაკს, ვიცი). ბატონო მაჩაბელო, ნუ ღელავთ. აი მაშინ, თქვენ აქ მოისმენთ მეტის მეტი საყურადღებო ამბავი,—აი რას ამბობდა მაშინ ბ. ვეშაპელი, მაშინ ნაციონალ-დემოკრატიის პარტიის მეთაური (კითხულობს).

(ვეშაპელი: მართალია) რამდენადაც მართალი არის თქვენ იქიდგან დაინახავთ, რომ მას შემდეგ, რაც განვლო ექვსმა თვემ, თქვენ იძულებული ხართ მთელი თქვენი იერიში, შეზღუდოთ ერთ საკითხით (გაბაშვილი: იმიტომ რომ თქვენ მიიღეთ ჩვენი პროგრამა). აი ბ. გაბაშვილო, მივიღეთ ჩვენ თქვენგან, თქვენ ისესხეთ ჩვენგან, ამას ახლავე მოგახსენებთ. ბ. ვეშაპელი ამბობს: (კითხულობს). მთავრობა გვპირდება, „საკუთარი ევროპიულის წესით გაწვრთვნილ ჯარის“ შედგენას; სახალხო მილიციაზე მთავრობა ალარას ამბობს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მთავრობის მეთაური პარტიას, სოციალ-დემოკრატიას, მზად აქვს კანონ-პროექტი, რომ ეგრედ წოდებული „წითელი გვარდია, რომლის პრივილეგიურ მდგომარეობა ხელს უშლიდა, და უშლის დღესაც სახელმწიფოს რეგულიარულ ჯარის შექმნას მუდმივ სახალხო გვარდიად იქმნას დამტკიცებული. დიახ, ბატონებო, აი რას ამბობდნენ, რას ლაპარაკობდნენ. (გაბაშვილი: მაშინ ბ. ჯუღელი რას ამბობდა, არ გახსოვთ?) მე მახსოვს. ეს სულ იმ დღეებში იყო. არა სხვა ვინმე, ბ. ვაჩნაძე, პარლამენტის წევრი პალკოვნიკი ვაჩნაძე, ტაშს უკრავდა სახალხო გვარდიას, რომელმაც მართლაც იმ შეტევით, ერთ ადგილზე ბრძოლის მოგებით იხსნა ჩვენი საქართველო. (ვაჩნაძე: მართალია) და თუ მართალია, მაშინ მართალია ისიც, რომ პარტია, რომელიც აქ ექვსი თვის წინეთ გამოვიდა სახალხო გვარდიის წინააღმდეგ, და რომელიც ამტკიცებდა, რომ სახალხო გვარდიის არსებობა რესპუბლიკის თავდაცვის საფუძველს უთხრის,—ეს მომასწავებელია იმისი, რომ ის პარტია, მეტი რომ არ ვსთქვა, იძულებული იყო ხელი აეღო, იმ ზოგიერთ პრინციპებზე, რომელთაც იგი იზიარებდა წინათ. (სიცილი. ხმაურობა). (თავმჯდომარე: უმორჩილესად გთხოვთ, ბაასს თავი დაანებოთ), დიახ, შეიძლება სიცილით ზოგიერთი ლამობდეს თავის პრინციპების მივიწყებას, ან საერთო გაკოტრებას. მე ვამბობ, ამას ლაპარაკობდნენ შინაურ კითხვებზე. მას შემდეგ ეს პარტია იძულებული იყო ეთქვა აქ საჯაროდ, რომ სახალხო გვარდია, რომელიც წინად, მისი აზრით, ძირს უთხრიდა თავდაცვას, ეს, რეგულიარულ ჯართან ერთად, საუკეთესო დამცველი გამოდგა ჩვენი ქვეყნისა. თქვენ აქ, ბ. ვაჩნაძე, ამტკიცებდით, რომ ჩვენი მთავრობა ვერ შესძლებს თავდაცვის მოწყობას, და იმავე დროს, თქვენ იცით ის ფაქტი, რომ ჩვენ გამოვაცხადეთ რა მობილიზაცია თვრამეტს, ჩვენი მოწინააღმდეგე შემუსვრილი იქნა სულ ერთი კვირის განმავლობაში. თუ კი თქვენ მართლაც ანგარიშს უწევთ ამ ფაქტებს, მაშინ უნდა აღიაროთ, რომ მთელი ჯგუფის გამოლაშქრება მთავრობის წინააღმდეგ ამ საკითხში, უბრალო გაუგებრობას ან პარტიულ ღვარძლიანობას მიეწერება. (მაჭავარიანი: ხალხის უნარი იყო). იმ ხალხის უნარი იყო, რომელიც გაჰყვა ამ მთავრობას. ბ. მაჭავარიანი რომ ყოფილიყო ამ მთავრობაში, მე გადაჭრით ვამტკიცებ, იმას არავინ არ გაჰყვებოდა. (გაბაშვილი: სომხების წინააღმდეგ ვისაც გინდათ გაჰყვებიან, რატომ ოსმალეთის წინააღმდეგ არ გაჰყვნენ?) (სიცილი) თქვენ ერთი რამ კიდევ ძალაუნებურად დასთმეთ, ყოველ შემთხვევაში, ისეთ სიცილით და კისკისით, როგორც მაშინ გამოდიოდა ბ. მიხეილ. მაჩაბელი. დღეს იმ საკითხს ვერავინ ეხება. დიახ, ბ. მიხეილი აქ მოსთქვამდა იმ საწყალ მემამულეებზე,—ამ ომში, დღეს ამაზე კრინტს ვერავინ ვერ სძრავს. (მაჩაბელი: ეხლა თქვენ ჩამოხვედით მიწაზე). იმ მიწაზე, რომელიც მშრომელმა ხალხმა წაართვა იმ მემამულეთა კლასს, რომლის ინტერესების დამცველად თქვენ აქ ბრძანდებით. (ხმა: საშინაო პოლიტიკაა). ექვსი თვის წინეთ, თქვენ მთავრობას უკიჟინებდით, რომ ის ვერ შესძლებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოწყობას. დღეს თქვენ იძულებული ხართ ნებით თუ უნებლიეთ, უფრო უნებლიეთ, აღიაროთ, რომ ის კურსი, რომელიც აიღო მთავრობამ, ის სავსებით შეეფერება ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. მე ვამბობ უნებლიეთ. ეხლა, ბატონო მიხეილ, გადავიდეთ იმ საგარეო პოლიტიკაზე, რომელზედაც ისე ჩქარობთ. თქვენი მეთაური ბ. ვეშაპელი ბრძანებდა ექვსი თვის წინეთ: (კითხულობს)

ზავს მოვაწერდით ხელს და დღეს საქრისტიანო საქართველოსთან ერთად მთელი სამაჰმადიანო საქართველოც თავისუფალი იქნებოდა.

რუსის ჯარის შინ წაბრძანების შემდეგ საქართველოს რომ რეგულიარული ჯარი შეედგინა, რუსეთის ბოლშევიკურ ფედერაციას რომ დროზე მოვშორებოდით, დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა და საკუთარი სახელმწიფო შეგვექმნა, ბრესტ-ლიტოვსკში რომ ოსმალეთ - გერმანეთის წინადადებით კონფერენციაში მონაწილეობა მიგვეღო, ჩვენი ძველი მეზობელი ერები რომ ამიერ-კავკასიის უცნაური პოლიტიკით ჩვენდა საუბედუროდ არ აგვერია, ოსმალეთი რომ სეიმის დიპლომატობით არ გაგვეღიზიანებინა და საქართველოს წინააღმდეგ არ აგვემხედრებინა, საერთაშორისო პერსპექტივები რომ დროზე გაგვერკვია და გერმანიაში მომქმედ თავდადებულ ქართველ მამულიშვილის მიხაკო წერეთლის ღვაწლით დროზე გვესარგებლა, მაშინ ურჯულო ქვეყანას, ოტომანის იმპერიას არ დავუტაკებოდით, სამარცხვინო ზავის მაგიერ საპატიო ზავს მოვაწერდით ხელს და დღეს საქრისტიანო საქართველოსთან ერთად სამაჰმადიანო საქართველოც თავისუფალი იქნებოდა. (ხმა: ჯარი გვეყოლებოდა. ხმაურობა) თავმჯდომარე: უმორჩილესად გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ). მე არა მგონია, ბატონებო, რომ თქვენი დანაშაული თქვენ ხალხის წინაშე, თქვენ ამ ხმაურობით დაფაროთ. დიახ, დანაშაული. მე ვამბობ, რომ ჩვენ წავსულიყავით ბრესტში, რომ მართლა დემოკრატია ძლიერი არ ყოფილიყო, რომ იმას არ შესძლებოდა იმ პარტიის ალაგმვა, რომელიც ისეთი რიხით, თუ არ გამოდის, ყოველ შემთხვევაში ხმაურობს, ეს იქნებოდა მთელი ჩვენი ქვეყნის დასამარება. (ტაში) (ტრაპეზუნდში ხომ წაბძანდით, რუსის ძალისა გეშინოდათ) (თავმჯდომარე: უმორჩილესად გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ), რუსის სალდათებისა ვის ეშინოდა, ეს კარგად გამოირკვა. დიახ ბატონებო, გამოირკვა. მაგრამ ერთი რამ აშკარა არის რომ, თქვენ გაშინებდათ ოსმალეთი ან, უკეთ რომ ვსთქვით, გსურდათ მასთან შეკავშირება, (გაბაშვილი: ეს დემოკრატიული აგანგალა — განგალაა) ბატონებო, ეს მე მესმის (მაჩაბელი: რას ნიშნავს ეს?) (თავმჯდომარე: პარლამენტის წევრო ბ. მაჩაბელო, გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ). რასაკვირველია, როდესაც ბრესტზე და ოსმალეთთან დაკავშირებაზე არის ლაპარაკი, ეს ფრთა შეეცდება ყვირილით დაფაროს თავის დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე, მაგრამ ამ ყვირილით თქვენ ვერ ამოშლით ამ დანაშაულობას ისტორიის ფურცლიდან. მე ვამბობ, რომ ერი მართლა რომ გაჰყოლოდა თქვენს გზას, რომ მართლა „ურჯულო ქვეყანა“ ოტომანის იმპერიას არ შეტაკებოდა, არამედ მიგვეღო ის გზა, ოსმალეთთან შეკავშირებისა, მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკაზედ, და მეტს ვიტყვით, და საერთოდ მთელი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობაზე ჯვარი უნდა დაგვესვა. აი ბატონებო, თქვენ დღევანდელ პოლიტიკაზე როცა ბრძანებთ, აი მოიგონეთ ეს და თქვენთვის აშკარა იქნება. (ხმა: ჯარიც მოიგონეთ) დიახ, ჩვენ მოვიგონებთ.

თავმჯდომარე. გთხოვთ კამათს თავი დაანებოთ, როგორც ორატორმა, ისე ადგილიდან მოლაპარაკემ.

რამიშვილი. დიახ, ჩვენ ჯარი მოვიგონეთ, და რომ ჩვენ ჯარი მოვიგონეთ და ჯარი მოვაწყვეთ, ამ ომმა საუცხოვოდ დაამტკიცა. თუ კი თქვენ ამას ვერ ხედავთ, თქვენ ვერაფერს ვერ დაინახავთ ამ ცხოვრებაში. აი ბატონებო ის გზა, ის ორი გზა, ერთი შინაური, მეორე საგარეო. ერთის მხრივ ეს ჩვენი მთავრობის გზა, და მეორე თქვენი გზა, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ იმის მაგივრად, რომ ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისთვის ანგარიში გაგეწიათ, იმის მაგივრად სცდილობდით, მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა სწორედ იმ ავანტიურისტულ გზაზედ მიგემართად, რომელიც საბოლოოდ დამარცხებას გვიქადდა. ჩვენ რასაკვირველია ეს არ ავირჩიეთ. ჩვენ უარვყავით ოსმალეთის შეკავშირება, და არც ბრესტი მივიღეთ. მე ამაზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ თქვენი პარტია მაშინ ცდილობდა ამაზე კაპიტალების შეძენას, დღეს, როდესაც ეს ჩაიშალა თქვენ გინდათ ეს დამალოთ. მაგრამ დემოკრატიული საქართველო არც იმდენად შეუგნებელია, რომ ასეთი ყვირილით, ხმაურობით, იმას თქვენ ვერ აიძულებთ დაივიწყოს ის სამარცხვინო ფაქტი, რომელიც ამიერიდან.... (ხმაურობა: კიდია: დემოკრატია როგორ მოიქცა)

თავმჯდომარე. გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ.

რამიშვილი. დემოკრატია როგორ მოიქცევა ამას ჩვენ დავინახავთ 14 თებერვალს. ახლა ჩვენ გადავიდეთ ამ უკანასკნელ აქტზე. ის, ვინც მუდამ მომხრე იყო ავანტიურისტულ პოლიტიკისა, ის ვინც თავის მიზნათ ისახავდა არა რეალურ ძალთა განწყობილების და მიხედვით მოქმედებას, ის ვინც საერთოდ ანგარიშს არ უწევდა დემოკრატიის ინტერესებს რასაკვირველია ის შეეცდებოდა ჩვენ მეზობელთა,—აგრესიულ მეზობელთა, ვინაიდან, მეზობლის მთავრობა, დაშნაკელების მთავრობა აგრესიული არის,—შეეცდებოდა თავიდანვე აერჩია ისეთი გზა, რომელიც ურთიერთობას კიდევ გააღრმავებდა და გაამწვავებდა. ჩვენ კი მიზნათ დავისახეთ გამოვნახოთ მუდამ შეთანხმების გზა, დიახ შეთანხმების გზა. და თუ თქვენ საქართველოს წარმომადგენელს ისეთი დიდი იმედი გაქვთ საერთაშორისო სამსჯავრო, მსოფლიო კონფერენციაზე [illegible] თქვენს დამოუკიდებლობას, ბევრში იმ ფხიზელ საგარეო პოლიტიკას, იმ დემოკრატიულ პოლიტიკას მიეწერება, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი მთავრობა. აგრესიული ვიწრო ნაციონალისტური პოლიტიკის წარმოება, და კავკასია სავსებით დაემზგავსებოდა ბალკანეთს. (ხმაურობაა) ერთი მითხარით, თუ რომ მართლა ჩვენ ის გზა აგვერჩია, თუ შეთანხმების გზა უარგვეყო, განა ეს არ გამოიწვევდა სავსებით ჩვენ პოლიტიკურ პოზიციის შესუსტებას? ჩვენ მივიღეთ უკიდურესი ზომები შეთანხმებისა, მე ვამბობ უკიდურესი ზომები, ვინაიდან, ამ შემთხვევაში სიფრთხილე ჩვენთვის სასარგებლოა, დ გამოგვადგება ამ არევდარევის ხანაში, როცა ჩვენ გვიხდება ჩვენი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ეს ის ხანა იყო, როცა უკვე გაიმარჯვა მოკავშირეთა კოალიციამ, იმ კოალიციამ, რომელიც თავიდანვე დიდი სიმპატიებით ეპყრობოდა სომხის ერს და რომელსაც სომხის საკითხის გადაჭრა არა ერთხელ თავის პროგრამაში წამოუყენებია. (ხმა: ეს სომხის გამარჯვებაა). დიახ, აი ამ დროს, ჩვენთვის საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილე, ჩვენ უნდა გვეჩვენებინა მოწინააღმდეგისათვის, როგორც მტრისთვის, ისე მოყვრისთვის, რომ მზათ ვართ ყოველი ზომა მივიღოთ შეთანხმებისათვის. იცით განსაკუთრებით რა გვაიძულებდა ჩვენ კითხვის ასე დასმას, ვინაიდან საკითხი აქ ეხებოდა არა ორიოდე მაზრას, აქ ნამეტნავად ბევრს ლაპარაკობდნენ დღეს ამ მაზრების შესახებ, ვიმეორებ აქ ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ ლაპარაკობდნენ ის პირები, რომელნიც თავიდანვე მომხრე იყვნენ ოსმალეთს შევთანხმებოდით და მათთვის დაგვეთმო არა მარტო ბათუმის ოლქი. (ხმა: სირცხვილი) თქვენ გახსოვთ, არა მარტო ბათუმის ოლქი, არამედ ყველაზე უფრო თავგამოდებით.... (გაბაშვილი: ეს ხომ ნახალოვკა არ არის, პარლამენტია).

თავმჯდომარე. უმორჩილესად გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ.

რამიშვილი. ის, რაც ბათუმში მოხდა, იმაში მონაწილე არის არა მარტო მთავრობა, არამედ, თქვენ კარგათ იცით, ამაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ყველა პარტიამ, აგრეთვე თქვენი პარტიის (მიმართავს მემარჯვენეებს) ოფიციალურმა წარმომადგენელმა, რომელიც ამას ვერ უარყოფს. მე კიდევ მეტს ვიტყვი, ეს თუ დათმობაზე მიდგა, ყველაზე მეტად იჩენდა დათმობის სურვილს... (გვაზავა: ეს არ არის მართალი) ეს მართალია ბ. გვაზავა. მე ვამბობ, აქ საკითხი ეხებოდა არა მარტო ამა თუ იმ ნაწილს ჩვენი ტერიტორიისა, მე მაშინ ვამბობდი და დღესაც ვიმეორებ, უდავო ტერიტორიისა. აქ კითხვა ასე იდგა: ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით, და რომელიც ჩვენ უნდა ვაწარმოოთ, ეს იქნება ისეთი პოლიტიკა, რომელიც ნაკლებ ენერგიის დახარჯვით მოგვცემს ჩვენ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, და არ იქნება ისეთი პოლიტიკა, რომელიც სასწორზე დასდებს ჩვენ დამოუკიდებლობას. ეს იქნებოდა იმ ავანტიურისტული ნაბიჯის გადადგმა, რასაც აწარმოებს ერთი მთავრობა, ერევნის მთავრობა. კიდევ უარესი, ვინაიდან ერევნის მთავრობა რამოდენიმეთ მაინც ზურგ გამაგრებულია, ერთი გარემოებით, არა იმით თითქოს, რაიმე ოფიციალური შეთანხმება მოხდა სომხეთსა და მოკავშირეთა შორის, არამედ იმ გარემოებით, რომ ეს მოკავშირეთა ქვეყნები თანაგრძნობით ეპყრობიან სომხეთის საკითხის გადაჭრას, როცა საკითხი არ დაისვა, როცა ვიცოდით რომ საკითხი ეხება არა ამ ტერიტორიას, არამედ ჩვენი ქვეყნის ყოფნა არ ყოფნას, ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, აქ საჭირო იყო განსაკუთრებული სიფრთხილე. (ხმაურობა).

თავმჯდომარე. უმორჩილესად გთხოვთ სიჩუმე დაიცვათ.

რამიშვილი. დიახ, ამ ხანათ ჩვენი ბედი უნდა გადასწყდეს. (ვეშაპელი: საოლქო კომიტეტში) მაგრამ იმავე დროს თქვენ იცით, რომ დამოუკიდებლობის საკითხი გადასწყდება არა აქ პარლამენტში, ამ ჩვენ ტერიტორიაზე, არამედ გადასწყდება იქ, სამშვიდობო კონფერენციაზე. (ვეშაპელი: უკვე არის ჩვენი დამოუკიდებლობა) მე ვამბობ მდგომარეობა ასეთი იყო: ან დამოუკიდებლობა ან სამუდამო მონობა საქართველოსი. აი, როცა კითხვა ესე დაისვა, მაშინ არა მარტო მთავრობა, არამედ ფრაქციის წარმომადგენლები ამბობდნენ, ასეთი რისკი იქნებოდა ავანტიურისტულ ნაბიჯის გადადგმა. (კედია: საინტერესოა იმ ისტორიულ სხდომის ოქმი).

თავმჯდომარე. გთხოვთ ადგილიდან შეკითხვებს ნუ აძლევთ.

რამიშვილი. დიახ, ბატონო კედია,

ოქმსაც მოისმენთ. მე ვამბობ, როცა საკითხი ასე დაისვა, მთავრობა და ფრაქციის წარმომადგენელი ამბობდნენ: ჩვენ უნდა გამოვძებნოთ ამ ახალ ძალასთან რომელიც ჩამოვიდა ჩვენ ქვეყანაში, საერთო ენა. ჩვენ შეგვეძლო სხვა ნაირი გზის არჩევა. ასეთი გზა აირჩია რუსეთის საბჭოს მთავრობამ.

თქვენ გახსოვთ ბრესტის კონფერენცია, საითკენაც უწოდებდით ჩვენს ქვეყანას. რას ამბობდა დელეგაციის მეთაური ტროცკი? ჩვენ განვაცხადეთ პროტესტი (ხმა: ისიც ჩვენი მეგობარია?) ამ ერთ საქმეში, დიახ თქვენი მეგობარია, ვინაიდან მან შეჰკრა ბრესტის ზავი, მან მოაწერა ხელი ხელშეკრულობაზე, რომელიც თქვენთვის ხელსაყრელია და თქვენი საოცნებო საგანი იყო. ჩვენ შეგვეძლო ერთი გზა აგვერჩია, ასეთი გზა იყო ტროცკისთვის პროტესტის გამოცხადება, მაგრამ იმავე დროს მოწინააღმდეგეთ წინადადების მიღება, ესე იგი არავითარი ანგარიშის გაწევა იმ საიდუმლო დიპლომატიისთვის, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ სწყვეტს პატარა ერების ბედ-იღბალს,—ჩვენ ამ გზას ვერ დავადგებოდით. შეიძლება ის ჯგუფი, რომელიც სდგამდა ასეთ ავანტიურისტულ ნაბიჯებს საქართველოს საზიანოთ: ძალიან ეცინება ბ. ვეშაპელს, რომელმაც თავის ორგანოში მოათავსა ასეთი ცნობა, რომ ერთმა ჯგუფმა ზავი შეჰკრა, ერთნაირი ხელშეკრულობა მოხდა ოსმალეთთან და გერმანიასთან, ისეთი ხელშეკრულობა, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ საუკეთესო დოკუმენტათ გამოაყენეს. (ხმა: პროვოკაცია არის, თქვენ ეს არ იცოდით?) დიახ ჩვენ არ ვიცოდით, და იმავე დროს როდესაც, რამდენიმე ჩვენმა ამხანაგმა საზღვარგარეთ გაიგო, სასტიკათ ებრძოდნენ ასეთ ავანტიურისტულ ნაბიჯებს. ჩვენ შეგვეძლო ასეთი ავანტიურისტულ ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ როდესაც საქმე ეხება ყოფნა არა ყოფნას, ასეთ ნაბიჯების გადადგმა მთავრობამ და ფრაქციის წარმომადგენლებმა არ მოისურვეს. მერე რა მოხდა, ჩვენ უარი ვყავით ასეთ ნაბიჯის გადადგმაზე, მარა ჩვენ მივაღწიეთ თუ არა ჩვენ მიზანს? (ხმა: გერმანიის საშუალებით, არ დაგვავიწყდეთ. ხმა მემარჯვენეების მხრიდან: გერმანიის საშუალებით, დღეს აქ ოსმალების ფაშა იქნებოდა.) დიახ სამწუხაროდ, როცა აქ შემოდიოდა ერთი უცხო ძალა, თქვენ მას ტაშს უკრავდით, უკრავდით სწორედ იმიტომ, რომ თქვენ იმედი გქონდათ მისი დახმარებისა. ბატონი ვეშაპელი ერთ თავის სიტყვას ასე ათავებდა: ადრე თუ გვიან სახელმწიფოს აღმშენებლობა ჩვენ ხელში გადმოვა, იმიტომ რომ ის ემყარებოდა არა შინაურ ძალებს, ემყარებოდა გარეშე ძალებს. (ტაში) როდესაც აქ ჩამოვიდა მეორე უცხო ძალა, რომელიც ეხლა არის მთელი ქვეყნის სვე—ბედის გადამჭრელი, (ხმაურობა. ვეშაპელი, ჩვენ ვემყარებოდით იმ...).

თავმჯდომარე. უმორჩილესად გთხოვთ, უკაცრავად ბატონო ორატორო, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა ვთქვა. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი რეგლამენტის ძალით რეპლიკა უარყოფილი არ გახლავთ პარლამენტში, რაც შეეხება ობსტრუქციას, მე მგონი ობსტრუქციის წინააღმდეგ ჩვენ უფლება გვაქვს ზოგიერთი ზომები მივიღოთ, თუ არ ვცდები მე იმედი მაქვს ამ საკითხის წინაშე არ დადგება პრაქტიკულად პარლამენტი. რაც შეეხება ბაასს, მასლაათს, მუსაიფს ეს თავას თავად ცხადია პარლამენტში დაუშვებელი გახლავთ. გთხოვთ ამ ჩარჩოებში მაწარმოებინოთ სხდომა, უმორჩილესად გთხოვთ. გთხოვთ განაგრძოთ.

რამიშვილი. აი როცა შემოვიდა მეორე ძალა, რომლის ხელში პატარა სახელმწიფოს სვე-ბედი, მე მეტს ვიტყვი, რომლის ხელთ არის ამ შემთხვევაში მსოფლიოს ბედი, აქ ჩვენ გვირჩევენ, თქვენ არავითარი ანგარიში არ უნდა გაუწიოთ ამ ძალას. ბ. ახმეტელი ამბობდა, თქვენ რომ ორიოდე მუშა დაატუსაღონ, ან მუშათა დეპუტატთა საბჭო გარეკონ, ამის გამო თქვენი უკიდურეს ზომებს მიმართავთო. დიახ მართალია მივმართავთ, იმიტომ ბ. ახმეტელო, რომ ეს არის საკითხი შინაური პოლიტიკისა, ეს არის ის სფერო, რომელსაც სრულიად არ ეხება საგარეო პოლიტიკა. (ბორჩალოს მაზრის და ახალქალაქის მაზრის შერეული ადმინისტრაციას) უკაცრაოდ ახალქალაქის მაზრაში, თუ თქვენ მართლა კეთილ სინდისიერი კამათი გსურთ, თქვენ უნდა დამეთანხმოთ, რომ აქ არის არა შერეული კომისია როგორც თქვენ გახსოვთ, არამედ აქ არის ჩვენი ადმინისტრაცია, რომელსაც გვერდში ეყოლება სხვა და სხვა ერთა წარმომადგენელი, ადგილობრივ ერთა წარმომადგენელნი. (ხმა: შერეული კომისია) მე ვამბობ ბ. ახმეტელო, ეს უნდა კარგათ გაიგოთ, ეს არის სფერო შინაურ პოლიტიკისა. (ბორჩალოს მაზრა) მე ვამბობ შინაურ პოლიტიკაში ჩარევა არავის არ შეუძლიან, და ის მთავრობა, რომელსაც თქვენ აქ ხედავთ, ეს მთავრობა ერთ წუთსაც არ დარჩებოდა თავის ალაგზე, როცა რომელიმე ძალა, უცხო ძალა მოისურვებდა ჩვენ შინაურ საქმეში ჩარევას. (ტაში) ამ შემთხვევაში ჩვენ მხარეზე იქნება სიმპატია არა ჩვენი ერისა, არამედ სხვა ერთა და ქვეყნების დემოკრატიისაც კი. (ხმაურობა) არის ერთი სფერო...

თავმჯდომარე. უმორჩილესად გთხოვთ სიჩუმე დაიცვათ.

რამიშვილი. მაგრამ არის ერთი სფერო, ბ. ახმეტელო, ეს თქვენ უნდა გცოდნოდათ, ეს არის სფერო საგარეო პოლიტიკისა, საჭე მთელი ამ პოლიტიკის გადაჭრისა ამ ხანად მოკავშირეთა ხელშია. აქ გამოსვლა პატარა ერისა და აღიარება, რომ ჩვენ ანგარიშს არ უწევთ თქვენ პოლიტიკას, განსაკუთრებით იმ დროს, როცა აქ ზოგიერთი ჯგუფები, უპასუხისმგებლო ჯგუფები აწარმოებენ პოლიტიკას, ისეთ პოლიტიკას, რომლისთვინაც ცდილობენ პასუხი აგებინონ მთელ ერს. მე ვამბობ ასეთ ნაბიჯის გადადგმას როცა გვირჩევენ, ეს იქნება ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესების დამარხვა. ამ შემთხვევაში, ჩვენ. რასაკვირველი, ვამბობთ, როდესაც საქმე ეხება ჩვენ საგარეო პოლიტიკას, ჩვენ ანგარიშს უწევთ უცხო ძალის სურვილს. რანაირი იყო ეს სურვილი? ერთად-ერთი მათი სურვილი იყო მშვიდობიანობა, წესრიგი, და ომიანობის შეჩერება. როცა კითხვა ასე დაისვა, იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებოდით, როცა ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენ შეგვეძლო ამ უცხო ძალას პირდაპირ შევჩეხებოდით, ჩვენ ვამბობდით: თუ გამოვნახეთ საერთო ენა, და თუ ჩვენ შევძელით უცხო ძალასთან სწორედ იმ საერთო ენის გამოძებნა, რომლითაც შემდეგში უზრუნველყოფილი იქნებოდა ჩვენი დამოუკიდებლობა, ეს ჩვენთვის მისაღები იყო. აი ამიტომ ჩვენ მოვითხოვეთ, რომ ეს ავანტიურისტული ნაბიჯები, რომელიც გადადგა სომხის მთავრობამ, ეს ავანტიურისტული ნაბიჯები სავსებით უარყოფილ იქმნენ. ის წინ წამოწევაა... (ხმა: კომპრომისია) დიახ, ბატონებო, თქვე, ალბად, მოგეხსენებათ, რომ საგარეო პოლიტიკის სფეროში, მეტად საჭიროა ასეთი პოლიტიკა, ასეთი კომპრომისები. და მე ვამბობ, როცა ჩვენ ამით უზრუნველვყავით ჩვენი ერის ინტერესები, უზრუნველვყავით იმით, რომ ჯარი, რომელმაც წინ წამოიწია, ის იძულებული იყო უკან დაეხია... (ჩვენი ჯარი). ჩვენი ჯარი რჩება იმ პოზიციებზე, იმ ადგილებზე, რომელნიც მან სისხლით და ბრძოლით აიღო. აქ ლაპარაკობენ დაშნაკელების გაძლიერებაზე. ნუ თუ დაშნაკელები გაძლიერდნენ მით, რომ ჩვენ უმთავრესი, გენერალური ბრძოლა მოვიგეთ. (სად?) გენერალური ბრძოლა მოვიგეთ ეკატერინოფელდთან, შულავერთან და სადახლოსთან· დიახ, მოვიგეთ და ამის შემდეგ დაშნაკელების გაძლიერებაზე ლაპარაკი არის სადემაგოგიო ფანდი მიმართული იმისაკენ, რომ რამოდენიმედ მაინც, ზოგიერთ შეუგნებელ წრეებს თვალები აუხვიონ. (ჯამალიანი).

თავმჯდომარე. ბ. კედია, გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ.

ჩვენ ავირჩიეთ ის გზა, რომელიც, ერთის მხრივ, სავსებით ადასტურებს დაშნაკელების დამარცხებას, ვინაიდან მათ სურდათ ყველა სადაო საკითხები, გადაეჭრათ ხმლით, ჩვენი ლოზუნგები თავიდანვე იყო არა ხმლით გადაჭრა სადავო საკითხებისა, არამედ შეთანხმებით, და თუ შეთანხმება არ მოხდებოდა, მაშინ არბიტრაჟით. აი ამ მხრივ ეს უცხო ძალა ჩვენ ნიადაგზე დადგა. და სავსებით შეუერთდა ჩვენ მოთხოვნილებას. რაც შეეხება ჩვენ მეორე საკითხს, ჩვენ მართლაც ვერ შევძელით ის მაქსიმუმი, რომელიც ჩვენ წამოვაყენეთ status quo onte bellum-ი სავსებით აღვედგინა. მაგრამ, მე ვამბობ, თქვენ რამდენიმე დღის შემდეგ, შეიძლება დარწმუნდეთ, რომ ამ შემთხვევაში თქვენ ისევე სცდებით, როგორც სცდებოდით იმ ფილიპიკებში, რომელნიც თქვენ აქ წამოაყენეთ მაშინ, ექვსი თვის წინეთ, როდესაც მთავრობა გამოვიდა პირველ დეკლარაციით პარლამენტის წინაშე. და რომ მართალი იყო ეს ჩვენი გზა, ერთად-ერთი გზა, რომელიც უზრუნველ ყოფდა ჩვენ ინტერესებს, ამისი ფაქტები გვაქვს: რკინის გზა სანაინამდე ფაქტიურათ ჩვენ ხელში იქნება. (მაჩაბელი: როცა მოუნდებათ წაგვართმევენ) დიახ წაგვართმევენ, ბ. მაჩაბელო, თუ თქვენ მიერ ნაჩვენები გზა ავირჩიეთ, პირიქით ჩვენ ვეცდებით, რომ ჩვენ ავირჩიოთ გზა შეთანხმებისა. და იმავე დროს ჩვენ გვექნება საკმაო ძალა, რომლითაც შეგვეძლება მოწინააღმდეგის შემუსვრა. და უნდა იცოდეთ ბატონებო, რომ ასეთ ძალას ანგარიშს ყველა გაუწევს. (შულავერი) დღეს აქ იყო ლაპარაკი და გაზეთებშიაც სწერია, რომ ჩვენ დაგვეკარგა ტერიტორია. მე ვამბობ, რომ ეს სავსებით შემცდარი აზრია, (დროებით) დროებით ჩვენ ბათუმის ოლქიც დავკარგეთ, მაგრამ ის ჩვენი იქნება. (საერთო ტაში) მე ვამბობ არსებითად ჩვენ ავირჩიეთ ისეთი გზა, რომ საერთო ენა გამოვნახეთ მოკავშირეებთან. ამას დღეს გრძნობს ჩვენი მთავრობა, ამას მალე იგრძნობს ჩვენი ხალხი. აი ამაშია გამარჯვება, ვინაიდან ეს აუცილებელი იყო საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფათ. რაც შეეხება ტერიტორიის საკითხს, ჩვენ ერთი უნდა ვსთქვათ განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჩვენ წინ ვერაგული მოწინააღმდეგე გამოჩნდა, რასაკვირველია მთავრობისათვის აუცილებელი იქნება ერთი გზა: გამონახოს ისეთი საზღვრები, სტრატეგიული საზღვრები, რომელნიც უზრუნველყოფენ ჩვენ არსებობას ყველა მოულოდნელ უბედურობისაგან. მაგრამ ეს მოხდება არა იმ გზით, აჩქარებულ პარტიების და ჯგუფების გზით, არამედ იმ ფრთხილი პოლიტიკის წყალობით, რომელმაც დღეს ჩვენ თავიდან აგვაცდინა უბედურობა, და საშუალება მოგვცა უზრუნველვყოთ ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და მისი შემდეგი განვითარება. (ტაში).

არჩევნების გარშემო.

სოხუმის ოლქისათვის.

დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ დეპეშით წინადადება მისცა სოხუმის ქალაქის მოურავს, რომ განკარგულება მოახდინოს მან სოხუმის და სოხუმის ოლქისთვის ერთა საარჩევნო კომისიის შედგენის შესახებ დაუყონებლივ შეადგინოს საარჩევნო სიები დამფუძნებელ კრების წევრთა 14-16 თებერვალში არჩევნების მოსახდენად.

სასოფლო კომისია.

8 იანვარს შესდგა სასოფლო კომისიის კრება. დღის წესრიგში იდგა დამფუძნებელი კრების არჩევნები. დაადგინეს მხურვალი მონაწილეობა მიიღონ დამფუძნებელ კრების არჩევნებში.

რ. ს. დ. ს. კომ.

რუსეთის სოც.-დემ. მუშ. პარტიის საოლქო საორგანიზაციო კომიტეტმა თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა მიიღოს აქტიური მონაწილეობა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

საქართველოს დელეგაცია.

უკვე გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია ევროპისკენ. დელეგაციაში შედიან: ნ. ჩხეიძე, ირ. წერეთელი, ივ. ზურაბიშვილი, გრ. რცხილაძე, ნ. ნიკოლაძე, ივ. ჯავახიშვილი, გოგოლაშვილი, ი. ნაკაშიძე და სხვ.

გუშინ, ღამის 11 საათზე საგანგებო მატარებლით ბათომ-სტამბოლის გზით ევროპისაკენ გაემგზავრა დელეგაცია ნიკოლოზ ჩხეიძის თავმჯდომარეობით. დელეგატთა გაცილებას მრავალი ხალხი დაესწრო. სადგურის წინ ჩამწკრივებულ მეომართა რაზმს ნ. ჩხეიძემ მოკლე სიტყვით მიმართა. სამხედრო ორკესტრმა შეასრულა ქართული ჰიმნი. დამსწრე საზოგადოებამ დიდის აღტაცებით და ოვაციებით გააცილა უცხოეთისკენ მიმავალი დელეგაცია.

ინგლისელების მოქმედება.

ინგლისელები რკინისგზაზე.

შორაპნიდან გზათა სამინისტროს 7 იანვრის თარიღით შემდეგი დეპეშა გამოუგზავნა მოძრაობის რევიზორმა ცქვიტიშვილმა:

„დღეს ადგილობრივ გავეცანი საქმის ვითარებას და აღმოჩნდა, რომ 5 იანვარს მომავალი № 112 ინგლისის ეშელონი ზესტაფონის სადგურზე ყოფნის დროს ერეოდა სადგურის ადმინისტრაციის ტეხნიკურ განკარგულების საქმეში და ახდენდა დეზორგანიზაციას და ბოლოს იმ თავხედობამდინაც მისულა, რომ დაუპატიმრებია მორიგე აგენტი ტორაძე და სადგურის უფროსის მოადგილე მიმინაიშვილი, რომელთაც ემუქრებოდენ დახვრეტით და ახდენდნენ მათზე გავლენას, აგრეთვე სიტყვით ამცირებდნენ მათ და ჩვენ სახელმწიფოს ღირსებას და ასე ჯერ გული უჯერებიათ, შემდეგ გაუნთავისუფლებიათ. ყველა ამ მოვლენებში ინიციატორად გამოდიოდა და გმირის როლსაც ასრულებდა ეშელონის უფროსი ოფიცერი მიკულინსკი. დაბეჯითებით გთხოვთ აღძრათ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა დასჯილ იქნან დამნაშავენი და თავიდან აშორებულ იქმნას შემდეგში ასეთი უწესოებანი. თანახმათ ამ დეპეშისა გზათა მინისტრმა საგარეო მინისტრს აცნობა ეს ამბავი და სთხოვა აღნიშნული მიკულინსკის სასტიკათ იქმნას დასჯილი. გარდა ამისა გზათა მინისტრი სთხოვს გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რათა მომავალში მოკავშირეთა ჯარის უფროსების მხრივ გზათა ადმინისტრატიულ ტეხნიკურ განკარგულების საქმეებში ჩარევას არ ჰქონდეს ადგილი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში თუ კვლავ განმეორებულ იქმნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესობის დამამცირებელი გამოსვლები, გზათა სამართველო პასუხის გებაში მისცემს მათ.

ახალციხის მაზრის გლეხთა ყრილობის მოწოდება

ახალციხე, სამი იანვარი. ორ იანვარს ახალციხის მაზრის გლეხთა ყრილობამ, რომელსაც დაესწრო ასი მუსულმანი ქართველი და 30 ქრისტიანი ქართველი გლეხი, მოისმინა რა მოხსენებები სამუსულმანო საქართველოს განთავისუფლების შესახებ ერთი მხრით მუსულმან ქართველების ყადირ შერვაშიძის და ჰაიდარ აბაშიძისა და მეორე მხრით ქრისტიან ქართველის ლ. რუხაძისა, ერთხმად დაადგინა: მიმართოს აჭარა-ქობულეთის, არტაანის და შავშეთის მუსულმან ქართველობას შემდეგი მოწოდებით:

„ძმებო, მუსულმანო ქართველებო! სამუსულმანო და საქრისტიანო საქართველო განუყოფელი ნაწილებია იმ სხეულისა, რომელსაც ეწოდება მთლიანი საქართველო. საუკუნოების განმავლობაში საქართველოზე მოსულმა მტრებმა ცეცხლითა და მახვილით დასცეს სამუსულმანო საქართველოს ძლიერი კულტურა, ჩასტეხეს ორ ძმათა შორის ხიდი ეკონომიურად, კულტურულად და გეოგრაფიულად ერთი მთლიანი სხეული, ხელოვნურად დაჰყვეს ორ ნაწილად. საქართველოს მშრომელი ხალხის მტრები შურს სთესდნენ მუსულმან და ქრისტიან ქართველთა შორის, რადგანაც ერთი მთლიანი დემოკრატიული საქართველო მტერი იქნება ყოველგვარი მონობის, მშრომელი ხალხის დაჩაგვრის და დაბეჩავების ბეგებს და თავადებს კი არ სურთ ასე შეკავშირებული და ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდიოდეს მთელი საქართველო, რადგანაც ეს იქნება მათი ბატონობის დაცემა და ხალხის განთავისუფლება.

დღეს, როცა საქართველოს შეუერთდა ერთი ნაწილი სამუსულმანო საქართველოსი ახალციხის და ახალქალაქის მაზრების სახით, დგება კითხვა დანარჩენ სამუსულმანო საქართველოს, აჭარა-ქობულეთის, არტაანის და შავშეთის განთავისუფლების შესახებ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ორ ნაწილად დაყოფილი საქართველო სათითაოდ იქნება სუსტი და სხვის სათამაშოთ გადაიქცევა, რაც კიდევ უფრო გააღრმავებს უფსკრულს ქართველ მუსულმანთა და ქრისტიანთა შორის, ხელს შეუწყობს ხალხის კულტურის დაცემას და რაც უმთავრესია შექმნის ეკონომიურად ისეთ ზღუდეებს, რაც სრულიად დაამონავებს განსაკუთრებით სამუსულმანო საქართველოს.

აჭარა-ქობულეთი, არტაანი და ახალციხე ისე მჭიდროდ არის ეკონომიურად დაკავშირებული ტფილისთან, რომ ამ ორ მხარეს ერთი-მეორეზე დაშორება არ შეუძლიან. მხოლოდ საერთო თანამშრომლობით, მხოლოდ სამუსულმანო და საქრისტიანო საქართველოს ერთ ოჯახში თავის მოყრით შეიძლება მიაღწიოს ბედნიერებას მთელმა საქართველოს ხალხმა.

ოთხი წლის საშინელი ომის შემდეგ მთელი ქვეყნის ხალხი იწყებს მშვიდობიან ცხოვრებას. ბევრ დიდ სახელმწიფოების ნანგრევებზე დაარსდა ნაციონალური სახელმწიფოები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაც ასეთი სახელმწიფო ერთეულია, რომელმაც გასაოცარი ენერგიით მოჰკიდა ხელი თავის ხალხის განთავისუფლების საქმეს და ყველა ახლად შექმნილ სახელმწიფოებთან შედარებით დადგა მკვიდრ ნიადაგზე. რესპუბლიკაში დამყარებული მშვენიერი წესრიგი, ყველა დემოკრატიული რეფორმების ცხოვრებაში გატარება, ეს იმის მომასწავებელია, რომ საქართველო წარმოადგენს ნამდვილ სახელმწიფო ორგანიზმს, რომელსაც მომავალი განვითარებისათვის შესწევს საკმაო ძალა.

ამას კარგად გრძნობს დღეს სამუსულმანო საქართველო. სწორეთ ასეთმა ფხიზელმა განსჯამ შეაერთა ახალციხე-ახალქალაქის ქართველი მუსულმანობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან. მარა ეს არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი. ჩვენ უნდა მოგვბაძონ აჭარა-ქობულეთმა, არტაანელებმა და სხვა მუსულმან ქართველობამ. სახელმწიფოების კონფერენციამ, რომელიც დღეს საფრანგეთში იწყება, ანგარიში უნდა გაუწიოს ქართველ მუსულმანობას, რომელიც ისტორიულათ, კულტურულათ და ეკონომიურათ განუყოფელი ნაწილია მთლიანი საქართველოსი.

აჭარა-ქობულეთელო, არტაანელო ქართველო მუსულმანებო, არ დაივიწყოთ, რომ დღეს სწყდება ჩვენი ბედი და თუ ეხლავე არ ვიმოქმედეთ ხელი-ხელ ჩაკიდებული მთელ საქართველოსთან ერთად, მაშინ მონობის უღელი კვლავ დიდი ხნით დაგვედგმება კისერზედ. ერთი დღე, ერთი წუთიც არ დაიგვიანოთ და ყველას გასაგონათ საქვეყნოთ განაცხადეთ, რომ საქართველო ერთია, რომ მუსულმანი და ქრისტიანი ქართველები ერთი დედის შვილებია, ღვიძლი ძმებია, რომელთაც ერთმანეთის დაშორება არ შეუძლიათ. ნუ დაუჯერებთ მათ, ვინც გატყუებთ, თითქოს საქართველო თქვენ წაგართმევთ სჯულს. ჩვენ, ახალციხის მაზრის ქართველი მუსულმანობა ვაცხადებთ, რომ ჩვენ და ქრისტიანი ქართველობა ვცხოვრობთ ძმურათ, ერთი ვართ უფლებით და ჩვენი სჯული ხელუხლებელია. მარა ჩვენ ჯერ ობლები ვართ. სანამ არ მოხვალთ თქვენც ჩვენთან, სანამ ძმებო აჭარა-ქობულეთლებო, და არტაანელო ქართველო მუსულმანებო არ მოვიყრით თავს ერთ ოჯახში მთელ საქართველოსთან ერთად, და როცა მოიხსნით თქვენც მონობის უღელს, როცა შემოგვიერთდებით ერთ ოჯახში, მაშინ საქართველოს მთავრობა თავის უტყუარ-გადაწყვეტილებით გვანიჭებს ავტონომიას: თავისუფალი სამუსულმანო საქართველო შევა დამოუკიდებელ საქართველოში. ბათუმი, ტფილისი, ქუთაისი, არტაანი, ახალციხე არის მუსულმან და ქრისტიან ქართველთა ქვეყანა, სადაც მთელი საქართველოს ხალხი მოაწყობს წესიერ, თავისუფალ და მშრომელი ხალხისთვის სანატრელ დემოკრატიულ წყობილებას.

ჩვენ, ახალციხის მაზრის ქართველი მუსულმანების და ქრისტიან გლეხთა ყრილობა, მოგმართავთ თქვენ, ძმებო აჭარა-ქობულეთლებო და არტაანელებო, გამოგვიწოდეთ ძმური ხელი, ნუ აყოვნებთ და მოიხსენით მონობის უღელი, მოდით ჩვენს ოჯახში, თქვენ მშობელ საქართველოში, აჭარის მთების შვილებო, არტაანის ყინულებში ნაწრთობო ქართველო მუსულმანებო, დაე თქვენი ხმა მისწვდეს მთელ ქვეყანას, გაიგონ მტრებმაც და მოყვრებმაც, რომ სამუსულმანო და საქრისტიანო საქართველო ერთია, ის განუყოფელი ნაწილია, ერთი სხეულის შვილია ერთი დედის საქართველოსი, რომელიც ერთნაირათ გვიყვარს როგორც მუსულმან ისე ქრისტიან ქართველობას.

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მუსულმან და ქრისტიან ქართველთა ძმობას!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოში ავტონომიურ სამუსულმანო საქართველოს!

გაუმარჯოს მშრომელ ხალხს.

გაუმარჯოს აჭარა-ქობულეთის და არტაანის განთავისუფლებას!

ახალციხის მაზრის

გლეხთა ყრილობა.

ხმა ახლციხიდან.

იმდენად მოწყვეტილი ვართ ცხოვრებას, რომ დღეს მივიღეთ ცნობა თავისუფლებისა და სამშობლოს დამცველ ხაშურის გვარდიელების, და სხვების გმირულათ დაღუპვის შესახებ. გულდათუთქული ცხარე ცრემლებით დავსტირით ძვირფას ამხანაგებს. თავისუფლებისადმი ასეთი თავგანწირვითი ბრძოლა თავდებია ჩვენი გამარჯვებისა, ყველა ერის დაშნაკელების სამუდამოთ დასამარებისა! გაუმარჯოს თავისუფლებასა და სამშობლოს ერთგულ დარაჯს სახალხო გვარდიას და რესპუბლიკის ჯარს!

ახალციხის ს.-დ. ორგანიზაციის მონდობილობით ქაჭეიშვილი.

ქალაქის გამგეობაში

სტიპენდიების შესახებ.

ქალაქის გამგეობამ მოიწონა გამგეობის წევრის გ. გ. კონიევის წინადადება ქალაქის სტიპენდიების დანიშვნის წესის შეცვლის შესახებ. აქამდე ეს სტიპენდიები ენიშნებოდათ სხვა და სხვა სასწავლებლების შეუძლებელ მოსწავლეებს. სტიპენდიის დანიშვნაში ქალაქის გამგეობამ უნდა იხელმძღვანელოს გიმნაზიების პედაგოგიურ საბჭოების ცნობებით შეუძლებელ მოსწავლეთა შესახებ.

ქალაქის სასწავლებლებში.

ქალაქის სასწავლებლების საბჭო შეუდგა უმაღლესის დასაწყის სასწავლებლების ისტორიის და გეოგრაფიის სწავლის პროგრამის შემუშავებას.

—

ქალაქის ქალთა პროფესიონალურ სასწავლებელში ქართულ ენის მასწავლებლათ ქალაქის გამგეობამ ა. ვ. კანდელაკისა დანიშნა.

მოხალისე ტრამვაელების შესახებ.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ტრამვაის იმ მოსამსახურეთა, რომელნიც ჯარში გაწვეულნი არიან, ანუ მოხალისეთ რაზმში შესული, ტრამვაის მოსამსახურეთათვის დადებულ საზამთრო ტანისამოსის მაგივრათ ფულათ მიეცეს ამ ტანისამოსის ფასის მეოთხედი ნაწილი.

ბათუმი.

3 იანვარს რუსების ნაციონალურ საბჭოს წარმომადგენელ მასლოვის მეთაურობით შედგარ საგუბერნიო საბჭოს ნიადაგი თანდათან ეცლება. ინგლისელებმა უკვე გაიგეს ვისთანაც ჰქონიათ საქმე. ეჭვი არ არის სცდილობენ შეცდომით გადადგმულ ნაბიჯების გამოსწორებას. ამის ნიშნები უკვე არის. აჭარლების კომიტეტის წარმომადგენელი გენერალ-გუბერნატორმა ყურადღებით მიიღო. ბათუმის ოლქის სხვა და სხვა კუთხეებიდან წარდგენილი პეტიციები, ადმინისტრატორებათ ადგილობრივი, ხალხის მიერ პატივცემულ და ნდობით აღჭურვილ პირების დანიშვნის შესახებ, გენერალ-გუბერნატორმა გულდასმით მოისმინა და აღუთქვა პეტიციას დაკმაყოფილება. საგუბერნიო საბჭოს მიერ ოლქში დანიშნული მოხელენი ვერ ბედავენ სამსახურის ადგილებზე წასვლას და უარს ამბობენ. არსებულ გაზეთ „ბათუმს“ მიემატა კიდევ ერთი რუსული გაზეთი, რომლის მეოთხე გვერდი ინგლისურ ენაზეა. ცნობილი გერმანი აპირობს თავის რედაქციის გადმოტანას ქუთაისიდან. ამ დღეებში გამოვა ქართული გაზეთი „სამაჰმადიანო საქართველო“.

ქუთაისი

○ შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობამ მთელ მაზრაში გაგზავნა ექიმთა რაზმები ეპიდემისთან საბრძოლველათ.

○ მთავრობის განკარგულებით ამ დღეებში დააპატიმრეს დ. ბაღდათში ამავე რაიონის კომისარიატის მილიციონერები: კირილე ჯანელიძე, ტოლია და სევერიანე ჩხეიძეები, რომელთაც ბრალდებათ სხვა და სხვა ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება. მათი დაპატიმრებით ბაღდათის საზოგადოება ძლიერ კმაყოფილია. როგორც ამბობენ ხსენებულ მილიციონერების მოქმედებასთან კავშირი აქვთ ზოგიერთ პირებს.

○ სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ადეიშვილმა სოფ. გორის მცხოვრება თედორე პეტრეს ძე ჩუბუნიძე, რომელსაც ბრალდება ზოსიმე დვალიშვილისთვის 500 მან. ფულის მოპარვა დააპატიმრა. ამავე ჩუბუნიძეს ბრალდება თავდასხმა. გამოძიება სწარმოებს.

○ სთხოვენ ფილიალური განყოფილების დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის წევრებს— დაესწრონ კრებას ხონის პირველ დაწყებითი სასწავლებლის წლიური კრების ანგარიშების და სხვა და სხვა მიმდინარე კითხვების გასარჩევათ, 19 იანვარს, 1919 წ. დილის ათ საათზე.

○ სვირის რაიონში და სოფ. სვიმონეთში ამ ბოლო დროს ძლიერ გავრცელდა ყაჩაღობა. განსაკუთრებით უკახსკხულნი. ისე კვირა არ გაივლის, რომ ორი სამი არ გაძარცვონ.

○ ტყიბულის მაღაროებში მუშაობა იწყება, თუ სურსათის შეძენამ არ შეუშალა ხელი. სამუშავარი იცემა ხარდათ. არტელის წარმომადგენელთა და კანტორის შორის უკვე დაიდო პირობა, რომელიც შესდგება 23 მუხლიდან. მუშები მიიღებიან შრომის ბირჟის საშუალებით. შრომის კომისრის განკარგულებით ყოველგვარი მუშათა კანონები და შრომის პირობები დაცულ უნდა იქმნას, როგორიც არის სავადმყ. კასსა, 8 საათის სამუშაო დღე და სხვა.

○ ტყიბულის სახალხო სახლის აშენება უკვე დასრულდა. ეხლა შიგნით აწყობენ და მოკლე ხანში სულ მოთავდება.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდი

გორი.

გორის საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის საზოგადო კრებამ, განიხილა-რა საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური მდგომარეობა, წარმოშობილი ორ მოძმე ერთა შორის ატეხილ სისხლის ღვრით, დაადგინა: ომის სხვა და სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად კავშირის ყოველ წევრს (1918 წ. დეკემბრის 1-დან). ყოველ თვიურად გამოერიცხოს ჯამაგირიდან 5% და ამ %% შემდგარი თანხა გადაეცეს გორის მაზრის საერობო გამგეობასთან არსებულ „ფრონტის დამხმარე კომიტეტს“.

კავშირის გამგეობა.

გრაკალი.

6 იანვარს გლეხთა კოოპერატივის წევრთა კრებამ გადასწყვიტა გადასდოს მთავრობის განკარგულებაში 3000 მანეთი ჩვენი ჯარების დასახმარებლად. სოფელში მოგროვილი იქმნა ჯარების დასახმარებლათ ფქვილი, სიმინდი, ხორბალი 1840 მანეთისა და ფული 220 მანეთი, რომელიც გადაეცა ახალქალაქის რაიონის კომისარს.

კრების თავმჯ. ინსტრუქტორი კორიანი.

—

გაზ. „საქ. რესპ.“ კანტორამ მიიღო ლ. ნადირაძის მიერ მას. რ. შოშიაშვილის და კ. კაპანაძის დახმარებით სოფ. ნინო-წმინდაში შეკრებილი ფული სულ 160 მანეთი სამხედრო ფონდის გასაძლიერებლათ.

—

მამამ აგვიხსნა უსამართლოდ გამოწვეული ომი, საქართველოს დამცველ ოჯახების მდგომარეობა და ჩვენც გადავსწყვიტეთ „შობის ხისთვის“ გადადებული ასი მანათი შევსწიროთ ბრძოლის ველზე დაღუპულთა ოჯახებს.

ამასთანავე გაახლებთ ას მანეთს დაგთხოვთ გადასცეთ სადაც ჯერ არს.

თამარ, თეიმურაზ დ ნათელა ბერძნიშვილები.

—

მივიღეთ 29 მ. 30 კ. შეკრებილი სიონის საკათედრო ტაძარში.

შემოწირულება.

გთხოვთ მიიღოთ გადასაცემათ ჯარის სასარგებლოთ 45 მან. შეგროვილი ჩემ მოწაფეების მიერ.

სოფ. საგარეჯოს 2-რ კლ. სკოლის გამგე დარუსია მაისურაძე.

—

ჩემდამი რწმუნებული ოზურგეთის პროგიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციამ გადასდო რესპუბლიკის სამხედრო საჭიროებისათვის 182 მან. და ამ მცირე წვლილს, მოძღვნილს დიადი საქმისათვის, ამასთანავე გაახლებთ.

ოზურგეთის პროგიანაზიის გამგე ილია ფერაძე.

—

ჩვენდამი მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის შეკრებილ ფულს ორმოც მანეთს გიგზავნით საქართველოს ნორჩ რესპუბლიკის ჯარის სასარგებლოთ. თანაც ვისურვებთ მრავალ ტანჯულ საქართველოს გამარჯვებას.

ნინო-წმინდის სკოლის გამგე ნადირაძე.

—

უმორჩილესათ გთხოვთ გადასცეთ იმ ფონდს, რომელიც დაარსებულია 4 თუმანი. შემოსწირეს ნინო-წმინდის საფეიქრო ქარხნის მუშა ქალებმა.

ხუთი (5) თუმანი საგარეჯოს საფეიქრო ქარხნის მუშა ქალებმა.

სამი თუმანი საგარეჯოს საფეიქრო სკოლის მოწაფეებმა.

სულ თორმეტი თუმანი. ანა კაპანაძე.

ქრონიკა

○ უმაღლეს მადლობას ვუცხადებთ ექიმს გენო რუსიშვილს, რომელმაც კეთილ ინება და ოთხასი მანეთი შემოსწირა ჩემდამი რწმუნებულ თელავის წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიას იმ მიზნით, რომ განთავისუფლებულ იქმნას სწავლის ფულის გადასახადისაგან: მერვე კლასის უღარიბესი და მეცადინე მოსწავლე. ბ-ნი რუსიშვილი. თან მაცნობებს, რომ სანამ ცოცხალი ვარ, ამავე მიზნით ყოველ წლივ მოვაწვდი სასწავლებელს ამდენსვეო. პატივისცემით ივ. როსტომაშვილი.

○ კვირას, 19 იანვარს, დღის 12 საათზე, ყოფილ ეროვნულ საბჭოს ბინაზე (ფრეილიხის ქ. № 11) დანიშნულია ქ. შ. წ. კ. გ. ს. რწმუნებულთა არა ჩვეულებრივი კრება. განსახილველი საგნები; 1) გამგეობის მოხსენება აწინდელი სამოქმედო გეგმის შესახებ. 2) 1919 წ. შემოსავალ-გასავლის სავარაუდო ანგარიში.

○ საბავშო დიდი კონცერტი, რომელიც უნდა გამართულიყო ქართულ მუსიკალურ საზოგადოების მიერ 8 ს. გადაიდო და იქნება 12 ს. კვირა დილით ზუბალაშვილისეულ სახალხო სახლში. დაკვრა საკრავებზე, სიმღერა და ცოცხალი სურათები სიმღერით; ფასი სახალხოა, თეატრი იქნება გამთბარი.

○ რედაქციამ მიიღო ზ. ჭ. წიგნი: „ქართველი კათოლიკენი, პრელატი დონ ივანე ანტონოვი“ და „გიორგი ბრწყინვალე“ ვახუშტისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ.

განცხადებები

ამხანაგობა

„სოკოლნიკი“

ვინაიდან საქმეთა ლიკვიდაცია ხდება, სთხოვს ყველას, ვისაც აქვს ამხანაგობის „სოკოლნიკის“ ფულის ჩეკები წარმოადგინოს ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა, ესე იგი 11 იანვრიდან 25 იანვრამდე 1919 წ. ფულის მისაღებათ ამხანაგობის კანტორაში, შემდეგი მისამართით: განოვის ქ., № 1, ეზოში, დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე.

18 3—2 ამხანაგობა.

ვასილ მიხეილის ძე ნადირაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა თავისუფალი სესხის კვიტანცია № 54173 12.000 მანეთისა, რაც გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს. 11 3—2

მიხა ოსმანაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი № 15039, გამოტანილი 1907 წ. ტფილისის პოლიცმესტრის კანცელარიიდან. მპოვნელს სთხოვენ გადასცეს პირველი რაიონის სახალხო გვარდიის შტაბს. 13 3—2

ქ. ყვირილის მოქალაქე გიორგი სოფრომის ძე თუთბერიძე აცხადებს, რომ 29 დეკემბერს 1918 წ. ღამის 1 საათზე, ტფილისის სადგურიდან ნახევარი ვერსის მოშორებით, მილიციონერების ფორმაში გამოწყობილმა 5 შეიარაღებულმა ბოროტ გამზრახველმა გააჩერა ბაქოში მიმავალი საფოსტო მატარებელი, ჩამოსხეს ის ამ მატარებლიდან და პირადი შეურაცყოფისა და სიკვდილის მუქარის შიშით იქვე წაართვეს მას 42.110 მანეთი ფულათ. ამასთანავე ხსენებულმა ბოროტ გამზრახველებმა წაიღეს მის სახელზე მიცემული შემდეგი საჭირო საბუთები: ა) ტფილისში მოვაჭრე სოლომონ ქორქოლიანის მიერ მოცემული 25.000 მან. ხელწერილი, ამ უკანასკნელი ფირმის საანგარიშო ქაღალდზე დაწერილი, ბ) შორაპნის მაზრის სამმართ. მიერ მოცემული უვადო პასპორტი, გ) საქართველოს ყველა რკინის გზათა გენერალ-გუბერნატორისაგან მოცემული იარაღის ტარების სათანადო მოწმობა და დ) ადერბეიჯანში თავისუფლათ გასვლის სათანადო მოწმობა. ყველა ზემოაღნიშნული მოწმობა გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 5 3-2

○ დამზღვევი საზოგადოება „როსია“ ამით აცხადებს, რომ პოლისი № 334237, მიცემული 1914 წ. ივნისის 6-ს ალექსანდრე ბორისის ძე შელკოვნიკოვზე დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება. 3 3—2

ნიკოლოზ მიხეილის ძე გონგაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტყვეობის მოწმობა, მოცემული მე-XI ფეხოსან პესკოვის პოლკის უფროსისაგან, რაც გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს. 4 3—2

მარიამ ისაიას ასული იაგუბოვა აცხადებს რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1902 წ. ოქტომბრის 25, № 2880, ისაია ვასილის ძე აბოვიანცის სახელზე. 2 3—2

სადგურ რაიონში ყოფილმა მილიციონერმა სიმონ გიორგის ძე ყაჭეიშვილმა დაჰკარგა საპენსიო წიგნაკი, რომლითაც ერგება პენსია ოზურგეთის ხაზინიდან ჯამი—100 მან. 80 კ., ჯვარის ღრამოტა მთავარი ბანაკის შტაბიდან მიცემული, საპენსიო ღრამოტა. მპოვნელს სთხოვს ეს დოკუმენტები დაუბრუნოს: ჩოხატაურის სარაიონო კომისართან. 16 3—2

ალიხვერან მეველა, იგივე ჯანათ ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმტკიცის მოწმობა შედგენილი ტფილისის ნოტარიუს ა. მიტკევიჩთან 1914 წ. ნოემბრის 4-ს, რესტრი № 23994. მოწმობა აღნიშნულია ტფ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1915 წ თებერვლის 10-ს, № 283. 1240 3—3

ალექსი ქაიხოსროს ძე ციხისელი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა (кредит. удостов.), 1429 მან. და 38 კ. № 38, რაც გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს. 1245 3—3

ილია თედორეს ძე ავალიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტები ერთი ცოლის და ერთი თავისი. და ამხ. „ზინგერიდან“ მიცემული ანგარიში. მპოვნელს სთხოვენ მიაწვდინოს შემდეგი მისამართით: მე-7 კომისარიატი, მახათის შესახვევი. სახლი № 14 ვაალიძეს. 1243. 3—3

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მატრონა პეტრეს ასულის სოლუხოვას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სოლუხოვას ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1181 3—3

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.